

შპს „ბემონი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ზემონი"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო თარიღი		
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	15390	12573	506501
სავაჭრო მოთხოვნები	114081	314187	335396
გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები	7195452	36893	2836
მარაგები			
მ.შ. - მზა პროდუქცია			
- სხვა მარაგი			
საინვესტიციო ქონება	3639211	3789705	3912801
სხვა მიმდინარე აქტივები		5662703	4287204
ბიოლოგიური აქტივები			
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	447	487	660
ძირითადი საშუალებები	193263	204418	184771
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	40695	77500	77500
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	11198539	10098466	9307669
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	263160	255153	197783
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	131	127	8
საგადასახადო ვალდებულებები	8250	11320	3379
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	57987	58936	52513
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		8714	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	98786	93334	146155
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები			8
სულ ვალდებულებები	428314	427584	399846
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			416820
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10770225	9670882	8491003
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი			
სულ საკუთარი კაპიტალი	10770225	9670882	8907823
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11198539	10098466	9307669
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.			
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე		
_____	დ. მიმინოშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ბემონი"			
საქმიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	672765	863386	3.9
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	672765	863386	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-53341	
საერთო მოგება	672765	810045	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-94378	-101892	
ცვეთა და ამორტიზაცია	-188409	-187353	
საპროცენტო შემოსავალი	717323	529981	
საპროცენტო ხარჯი	-5452	-11543	
იჯარის ხარჯი	-230	-460	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-377718	-109402	3.10
სულ საოპერაციო ხარჯები	51136	119331	
საოპერაციო მოგება	723901	929376	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	808353	345104	
მიღებული დივიდენდები	30997	65410	3.11
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	15373	-2948	3.12
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1578624	1336942	
მოგების გადასახადის ხარჯი	-6281	-1429	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1572343	1335513	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1572343	1335513	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9670882	8907823	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-473000	-107595	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-48039	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-416820	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10770225	9670882	3.13
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.			
დირექტორები:	ზ. იაკობიძე		
	დ. მიმინოშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ბემონი"			
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2020	2019	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	418673	565149	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	42079	-491183	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-458064	-574685	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2688	-500719	
სავალუტო კურსის ეფექტი	129	6791	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12573	506501	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	15390	12573	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.			
დირექტორები: _____		ზ. იაკობიძე	
_____		დ. მიმინოშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბემონი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 1996 წლის 28 მარტს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერია 5ა/4-201, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211322656, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 37-39. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 მარტს.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) - 71% წილის მფლობელი; დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 29% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547); დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომლებიც ქირავდება ან გაკუთვნია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში, ფოთში და რუსთავში.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო - შპს „კობი-2009“ (ს/კოდი 205268985), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2020 წელს შეადგენდა 11 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტორი ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

2019 წელს: 1 USD=2.8192 ლარი; 1 EUR=3.1553 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		50
ლარი საბანკო ანგარიშებზე	15385	12519
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	5	4
ევრო საბანკო ანგარიშებზე		
სულ:	15390	12573

3.2. გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	495	28271
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	11	
გადახდილი სასამართლო ბაჟი	8622	8622
ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან	2	
გაცემული სესხი (იურიდიულ პირზე)	7186322	
სულ:	7195452	36893

3.3. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 62.01.54.002	484	484
მიწა არასასოფლო სამეურნეო 01.15.03.010.135	457951	457951
მიწა არასასოფლო სამეურნეო 23.07.01.380	2799	2799
მიწა არასასოფლო სამეურნეო 02.05.06.216	9000	9000
მიწა არასასოფლო სამეურნეო 04.02.10.001	122476	122476
სულ:	592710	592710

გარდა ამისა, მიწა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკადასტრო კოდით 02.01.05.020 არის 25-წლიანი იჯარით აღებული.

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა (ადმ. ნაწილის გარეშე)	2397120	26721	141467	2511866
სხვა შენობა- ნაგებობები	649381	0	35748	685129
სულ:	3046501	26721	177215	3196995

3.4. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გაცემული სესხი (იურიდიულ პირზე)		5662580
ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან		123
სულ:	0	5662703

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
შენობის ადმინისტრაციული ნაწილი	177986	0	8464	186450
არაექსპლუატირებუ ლი მოძრავი ქონება (რეზერვუარები)	6572	0	0	6572
ელექტროგადამცემის მოწყობილობები	0	0	0	0
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	1842	0	492	2334
ოფისის აღჭურვილობა	1471	0	738	2209
ავტო	5392	0	1461	6853
სხვა ძირითადი საშუალებები	0	0	0	0
სულ:	193263	0	11155	204418

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა 2020 წლის ბოლოს შეადგენდა: 1592241 ლარს.

3.6. გრძელვადიანი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 77500 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „კობი-2009“-ის კაპიტალში, რომელშიც შპს „ბემონს“ ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „კობი-2009“-ის დაფუძნებისას და შემდგომ კაპიტალის გაზრდის დროს შეტანილი თანხის ოდენობით, რომელიც შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას, რადგან ეს მეკავშირე საწარმო რეგულარულად უხდის მიღებული მოგებიდან კუთვნილ წილს შპს „ბემონს“.

3.7. ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავალდებულო საპენსიო დაზღვევის შენატანის ვალდებულება	124	119
ვალდებულება ანგარიშვალდებული პირების მიმართ	7	8
სულ:	131	127

3.8. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულები:

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		8714
ფიზიკურ პირისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის ძირი	48179	48179
ფიზიკურ პირისგან მიღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	50607	45155
სულ:	98786	102048

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019-2020 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა იჯარიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

3.10. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2020 წელი	2019 წელი
მარკეტინგული და საშუამავლო მომსახურება	-15757	-5719
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-35460	-12000
დაზღვევა		-1766
ქონებისა და მიწის გადასახადები	-35926	-37252
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-262301	
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-18146	-42723
ელ.ენერგიის და კომუნალური დასუფთავების ხარჯი	-4967	-5201
საკომუნიკაციო ხარჯები	-3966	-3949
საბანკო ხარჯები	-771	-274
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-424	-519
სულ:	-377718	-109402

3.11. მიღებული დივიდენდები:

მიღებული დივიდენდები სრულად შედგება მეკავშირე საწარმოსაგან - შპს „კობი-2009“-დან მიღებული კუთვნილი მოგების წილისგან.

3.12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2020 წელი	2019 წელი
გაუქმებული კრედიტორული დავალიანება	10097	-2892
პანდემიის გამო დაწესებული საგადასახადო შეღავათი	5610	
ჯარიმები და საურავები	-339	-60
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი/ხარჯი	5	4
სულ:	15373	-2948

3.13. საკუთარი კაპიტალის მუხლები:

2017-2019 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა. კომპანიის მიერ 2019 და 2020 წლებში გაცემული დივიდენდები (შესაბამისად, 107595 და 473000 ლარი) განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან. შესაბამისი წლების ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის (ან უფრო ადრინდელი პერიოდის) დაგროვილი მოგებიდან დივიდენდების გაცემის გამო, დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2020 წლის ბოლოს, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგებოდა გაუნაწილებელი მოგებისგან.

3.14. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება:

	31.12.2020	31.12.2019
სასესხო ვალდებულება (ძირი + პროცენტი)	98786	102048
სულ:	98786	102048

საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისაგან/დირექტორისაგან აღებული სესხიდან:

	2020 წელი	2019 წელი
საპროცენტო ხარჯი	5452	11543
სულ:	5452	11543

3.15. სასამართლო დავები:

კომპანიას 2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

1) 2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია საიჯარო შემოსავლების შემცირება დაახლოებით 20%-ით, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2) 2021 წლის თებერვალში, კომპანიამ სრულად გაყიდა მის მეკავშირე საწარმოში - შპს „კობი-2009“-ში არსებული 50%-იანი წილი.

2021 წლის 1 იანვრიდან 21 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 21 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	15390	12573	506501	3.1
საფაქრო მოთხოვნები	114081	314187	335396	
გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები	7195452	36893	2836	3.2
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი				
საინვესტიციო ქონება	3639211	3789705	3912801	3.3
სხვა მიმდინარე აქტივები		5662703	4287204	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	447	487	660	
ძირითადი საშუალებები	193263	204418	184771	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	40695	77500	77500	3.6
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	11198539	10098466	9307669	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
საფაქრო ვალდებულებები	263160	255153	197783	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	131	127	8	3.7
საგადასახადო ვალდებულებები	8250	11320	3379	
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	57987	58936	52513	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		8714		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	98786	93334	146155	3.8
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			8	
სულ ვალდებულებები	428314	427584	399846	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)			416820	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	10770225	9670882	8491003	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	10770225	9670882	8907823	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11198539	10098466	9307669	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორები:

ფ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2020	2019	
ნეტო ამონაგები	672765	863386	3.9
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	672765	863386	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-53341	
საერთო მოგება	672765	810045	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-94378	-101892	
ცვეთა და ამორტიზაცია	-188409	-187353	
საპროცენტო შემოსავალი	717323	529981	
საპროცენტო ხარჯი	-5452	-11543	
იჯარის ხარჯი	-230	-460	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-377718	-109402	3.10
სულ საოპერაციო ხარჯები	51136	119331	
საოპერაციო მოგება	723901	929376	
გაუფასურების ხარჯი/ აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	808353	345104	3.11
მიღებული დივიდენდები	30997	65410	3.12
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	15373	-2948	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1578624	1336942	
მოგების გადასახადის ხარჯი	-6281	-1429	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1572343	1335513	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1572343	1335513	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9670882	8907823	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-473000	-107595	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-48039	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-416820	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10770225	9670882	3.13

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე

_____ დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	418673	565149
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	42079	-491183
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-458064	-574685
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2688	-500719
სავალუტო კურსის ეფექტი	129	6791
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12573	506501
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	15390	12573

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორები:

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

